

1961/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 10 (133)

10 აპრილი

1961 წ.

ზ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენი-
ლებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

- 158. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტაჯიკეთის სსრ სასამარ-
თლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონ-
მდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.
- 159. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყირგიზეთის სს რესპუბ-
ლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან
დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაქარგულად ცნობის შესახებ.
- 160. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ ღონისძიებათა შესახებ,
რაც დაკავშირებულია ყირგიზეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლას
სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან.

ბანყოფილება მეორე

- 161. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ გ. ი. ვანაგას
შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 162. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. ს. სევენციის
შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 163. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვილნიუსის ინფექციური
საავადმყოფოს სანიტრის მ. ვ. ვაიცხოვსკაიას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების
შესახებ.
- 164. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რიგითი ი. მ. ნეხაის წი-
თელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.



165. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაზახეთის სსრ კავშირის/ოლქის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნის“ ყოფილი თავმჯდომარე მ. ს. თავმჯდომარე/სათვის ლენინის ორდენის ჩამორთმევის შესახებ.
166. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დღის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
167. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო საგვგომო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის მინისტრის ან. მ. ვ. ხრუნიჩევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
168. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის მოსსაბჭოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობ რ. ი. პლიატისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ბანყოფილება მისამი

- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნებულის სიგელები გადასცა მალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. ფ. კეიტამ.
- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევის რწმუნებულის სიგელები გადასცა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. ტრიონდლემ.
- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შესახებ.

საპარტიველოს სსრ კანონები, საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით გათვალისწინებული ჯარიმებისა და სხვა ფულადი თანხების ოდენობის შესახებ.
172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. თბილისის სამგორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის „შენჯნაობისა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების“ შექმნის შესახებ.

173. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 25 მარტის დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია უკრაინის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“.
174. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 13 მარტის დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია ლატვიის სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“.
175. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 13 მარტის დადგენილების შესახებ „იმ ღონისძიებათა თაობაზე, რაც დაკავშირებულია ესტონეთის სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან“.
176. პრჩანებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის გავითის „სტალინელის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამე

საინფორმაციო ცნობა.



სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები



ბანყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 ტაჯიკეთის სსრ სასამართლო წყობილების თაობაზე მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონისა „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემოთაწვენიერები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მოქმედებაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წ., № 31) იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას;

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ., № 17);

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულება „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წ., № 16);

4. სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონი „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოებისა და მშრომელთა დეპუტატების

სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების
იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების თაობაზე“ სსრკ-ის
რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“
(სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 4);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს
ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი
სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური
ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობა-
ზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს
ბრძანებულებაში და „სასამართლოთა პრეზიდიუმების მიერ საქმეების გან-
ხილვის წესის თაობაზე“ 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილე-
ბების შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957
წ., № 17) გარდა ამ ბრძანებულების 2 მუხლისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 29 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და
სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან და-
კავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგუ-
ლად ცნობის შესახებ

ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლი-
სა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირე-
ბით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავ-
შირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქა-
ლაქო, სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსების მიღების მო-
კავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ
კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირის და მოკავშირე
რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტ-
კიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხ-
ლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლების დამტკიცების შესა-
ხებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაწევრები საკანონმდებლო აქტები
ძალადაკარგულად ჩაითვლება ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რეს-
პუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 მაისიდან ე. ი. რესპუბლიკის სისხლის
სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მოქმედებაში
შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დად-
გენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დე-
ზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ.,
1931 წელი, № 4, მუხლი 44);



2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შედეგად (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შედეგად (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (გაზეთი „სოვეტსკაია კირგიზია“ 1949 წლის 7 იანვარი, № 4);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავ-

შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული 1959 წლის გამოცემა);

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

13. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესა წანახედი-სათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით გათავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

15. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7) იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებისა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, სამხარეო, საოლქო სასამართლოების და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

16. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი, № 21);

17. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 5 აპრილი.

160 იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც დაკავშირებულია ყირგიზეთის სსრ-ის რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სამოქმედოდ შემოღებასთან

ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 მაისიდან სამოქმედოდ შემოიღება ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 მაისიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 მაისიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის 1960 წლის 29 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. ნება მიეცეს ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დააწესოს, რომ ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის 1960 წლის 29 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისას სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გავრცელებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენი ამ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მაისამდე, ესე იგი ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

3. დავალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 პროფესორ ბ. ი. ვანაგის შრომის წითელი დროვის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და ქიმიის მეცნიერებისა და ქიმიური მრეწველობისათვის კადრების მომზადების დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი გუსტავ იანის ძე ვანაგი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროვის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 მწერალ ბ. ს. სევენიის შრომის წითელი დროვის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად, მწერალი გარეგინ სევენი ძე სევენი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროვის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ვილნიუსის ინჟინერი საავადმყოფოს სანიტრის მ. ვ. ვაიციანოვსკაიას მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებული ბავშვების გადარჩენის დროს მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის მარიამ ვლადისლავის ასული ვაიციანოვსკაია დაჯილდოებულ იქნას მედლით „მამაცობისათვის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 29 მარტი.



164 რიგითი ი. მ. ნახაის წითელი პარაკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალებათა შესრულების დროს გამბედაობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, რიგითი იური მასხუდის ძე ნეხაი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 ყაზახეთის სსრ ჯეთი-ოღუზის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნის“ ოფიცის“ ყოფილი თავმჯდომარე მ. ს. ოგულისათვის ლენინის ორდენის ჩამორთმავის შესახებ

ყირგიზეთის სსრ ჯეთი-ოღუზის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნის“ ყოფილ თავმჯდომარეს მაქსიმე სტეფანეს ძე ოგულს ჩამოერთვას ლენინის ორდენი, რადგანაც დაუმსახურებლად მიიღო ეს მაღალი ჯილდო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალწილიანი დედაუნისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. ყუნა დუტუას ასულ აკობიას — ზუგდიდის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
2. დონიკა უფლისას ასულ ლუღუნიშვილს — საჩხერის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
3. მარიამ ნაშრევანის ასულ კულუმბეგოვას — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ზნაურის რაიონის სოფელი ლოპანი.
4. გალინა იავორის ასულ ლაბაძეს — საჩხერის რაიონის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.



5. შუშანა სამსონის ასულ ლომიძეს — საჩხერის რაიონის ლენინის ხელობის კოლმეურნეობის წევრს.

6. ყუნა კალისტრატეს ასულ მეზონიას — ზუგდიდის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

7. ტატიანა ვლადიმერის ასულ ჩიქოვანს — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ჩხორია.

8. ვალენტინა გიორგის ასულ შანავას — ზუგდიდის რაიონის სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

9. ნინო ევგენის ასულ შველიძეს — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობა „მებრძოლის“ წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 აპრილი.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 სსრ კავშირის სახელმწიფო საბავმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, სსრ კავშირის მინისტრის ამხ. მ. ვ. ხრუნიჩევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის სახელმწიფო საბავმო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრი ამხ. მიხეილ ვასილის ძე ხრუნიჩევი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 3 აპრილი.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 მოსკოვის მოსსაბჭოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობ რ. ი. პლიატიხატოვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის მოსკოვის მოსსაბჭოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს როსტისლავ იანის ძე პლიატს მიენიჭოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 4 აპრილი.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელუბი გადასცა მალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. ფ. კეიტამ

ა/წ 27 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო მალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მამადა ფადილ კეიტა, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მ. ფ. კეიტამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და სიტყვებით მიმართვის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა მ. ფ. კეიტას. საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ი. გ. ეიხფელდი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რწმუნების სიგელუბი გადასცა შვეიცარიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა მ. ტრიონდლემ

ა. წ. 1 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მაქს ტრიონდლე, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს ახლდნენ საელჩოს მრჩეველი ა. ნატიურალი, საელჩოს მდივანი ა. ხოლი, რომლებიც ელჩმა წარუდგინა ლ. ი. ბრეჟნევს.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებების გამგეები ს. ტ. ბაზაროვი, თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე ე. გ. ვისოტინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე კ. ნ. კოლიჩევი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და მ. ტრიონდლემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

რწმუნების სიგელების გადაცემის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი უსაუბრა მ. ტრიონდლეს. საუბარს ესწრებოდნენ მ. პ. გიორგაძე და ნ. პ. ფირიუბინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი ორიგისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური —



რივას ელექტროგადაცემის ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრების და
 დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის
 1 აპრილის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და-
 ჯილდოვა სსრ კავშირის ელექტროსადგურების მშენებლობის სამინისტროს
 ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის სამშენებლო
 სამმართველოსა და სსვა ორგანიზაციების 150 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუ-
 შაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „სევზაპენერგომონტ-
 ეის“ სამონტაჟო უბნის უფროსი გ. ი. მაქსიმოვი, ტრესტ „სევზაპენერგომონ-
 ტაის“ ზენკალთა ბრიგადირი ვ. გ. მოსიაკინი, ექსკავატორის მემანქანე ა. ა.
 ტოკარევი, ტრესტ „სევზაპენერგომონტსტროის“ № 9 მექანიზებული კოლო-
 ნის ელექტროხაზზე მომუშავე ნ. მ. ტუპეკი და კომპლექსური ბრიგადის ბრი-
 გადირი ფ. კ. ფადეევი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 15 კაცი, „საპატიო
 ნიშნის“ ორდენით — 31, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 61 და
 მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 38 კაცი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შესახებ

უკრაინის სსრ

ქალაქ ნოვოგეორგიევსკის დაბა ხრუშჩოვთან გაერთიანება

მშრომელთა დეპუტატების კიროვოგრადის საოლქო საბჭოს აღმასრულე-
 ბელი კომიტეტის 1961 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით ქალაქი ნოვოგე-
 ორგიევსკი და ნოვოგეორგიევსკის რაიონის ქალაქის ტიპის დაბა ხრუშჩოვი
 გაერთიანებულია ერთ დასახლებულ პუნქტად — ქალაქ **ხრუშჩოვის** სახელ-
 წოდებით, მისი რაიონული დაქვემდებარების ქალაქების კატეგორიაზე მიკუთვ-
 ნებით.

ყაზახეთის სსრ

ქალაქ აკმოლინსკის ქალაქ ცელინოგრადად გადარქმევა

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 20 მარტის
 ბრძანებულებით ყამირის მხარის ქალაქი აკმოლინსკი გადარქმეულია ქალაქ
 ცელინოგრადად.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები
და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ
უმომღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალა-
დაკარგულად ცნობის შესახებ

შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბ-
რის კანონისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დამტკიცე-
ბის შესახებ“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961
წლის 26 იანვრის ბრძანებულებისა „იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ,
რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება“, საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ცნობილ იქნას ძალადაკარგულად საკანონმდებლო აქტები თანახმად და-
ნართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 31 მარტი.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიუმის 1961 წლის 31 მარტის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

ნ უ ს ხ ა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც დაკარგეს ძალა სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან და იმ ქონების ნუსხის დამტკიცებასთან დაკავშირებით, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1928 წლის 26 მარტის № 15 დადგენილება „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1928 წელი, № 4, მუხლი 34).

2. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 22 დეკემბრის № 105 დადგენილების „ვენერიულ სენთან საბრძოლველ ღონისძიებათა შესახებ“ 4 პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წელი, № 2, მუხლი 23).

3. სრულიად საქართველოს ცაკის 1929 წლის 1 მარტის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“ (საქ. სსრ კან. კრ., 1929 წელი, № 11, მუხლი 85).

4. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 22 მაისის დადგენილება „იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახ. კომისრების მოხსენების გამო სისხლის სამართლისა და შრომაგასწორების პოლიტიკის შესახებ“ სისხლის სამართლის პოლიტიკის დარგში (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წელი, № 15, მუხლი 153).

5. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 11 ივლისის დადგენილება „კოოპერატიული ორგანიზაციების მოქმედებაში ხელისუფლების ორგანოების უკანონო ჩარევით მიყენებული ზარალისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 1-ს დადგენილებისათვის მე-5 მუხლის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წელი, № 16, მუხლი 173).

6. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 27 ოქტომბრის დადგენილებით დამტკიცებულ „სა-

ქართველოს სსრ-ში რევოლუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებებისათვის 20 პუნქტის ქვეპუნქტები „ა“ და „ბ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წელი, № 22, მუხლი 250).

7. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსისათვის 200¹ მუხლის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 2, მუხლი 26).

8. სრულიად საქართველოს ცაკის 1930 წლის 17 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის კოდექსების იმ ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსს (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 7, მუხლი 59).

9. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 11 მარტის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის მე-60 მუხ. შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 9, მუხლი 84).

10. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 6 მაისის დადგენილება „სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართის) 1-ლი მუხლის 11 ნაწილის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წელი, № 11, მუხლი 154).

11. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 11 თებერვლის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის 106 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დადებული ჯარიმებისა და კონფისკებული საგნების გაყიდვით მიღებული თანხების განაწილების წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წელი, № 5, მუხლი 61).

12. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 აპრილის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136¹ მუხლის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 11, მუხლი 84).

13. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 აპრილის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის 200¹ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 11, მუხლი 85).

14. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილების „სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლისათვის შრომის ბეგარის დაწესების შესახებ“ 51 პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 16, მუხლი 127).

15. სრულიად საქართველოს ცაკის 1932 წლის 15 ივნისის დადგენილება „ახალი შენობების აგებისა და არსებული შენობების დაშენების დროს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ფასადების არქიტექტურული გაფორმების წესის დაცვის თაობაზე გამოცემული დადგენილებისათვის მე-6¹ მუხლის დამატების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 14, მუხლი 120).

16. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 26 თებერვლის დადგენილების „სავალდებულო სავაჭრონომიული წესების დამყარების შესახებ“ 4 პუნქტი სისხლის სამართლის წესით დასჯის ნაწილში (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 7, მუხლი 94).

17. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 27 ივლისის დადგენილების „საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბიანი ბეჭდის ხმარების შესახებ“ 8 პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, №21, მუხლი, 270).

18. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 22 თებერვლის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წელი, № 5, მუხლი 65).

19. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 2 აპრილის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წელი, № 10, მუხლი 103).

20. სრულიად საქართველოს ცაკის 1934 წლის 16 აპრილის დადგენილების „მატერიალური კულტურის და ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ“ 7 პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წელი, № 11, მუხლი 115).

